საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

განკარგულება:**გ-69. 69223116**
თარიღი:**07/11/2022**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარგვეშში მდებარე 200,00 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 36.07.34.241) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1**. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 27 ოქტომბრის **N 5 / 60042** მომართვის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარგვეშში მდებარე 200,00 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **(ს.კ. 36.07.34.241)** გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ**,** შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგზე გადასაცემად სასოფლო ამბულატორიის მშენებლობის მიზნით .

**მუხლი 2.** დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი